საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინაშაური

ინაშაური, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის ამაღლების თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. კვინის წყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 200 მ, ვანიდან 12 კმ. 509 მცხ. (2014). ი-ში არის გოგირდოვანი მინერ. წყალი.

მოხსენიებულია ი. გიულდენშტედტთან. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ი. თავდაპირველად სალომინაოს, შემდეგ სალომინაოს ბაზაზე ჩამოყალიბებული საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა.

თ. ბერაძე